გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ივანე ნონიკაშვილის

2021 წლის 3 დეკემბრიდან 2022 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით გაწეული საქმიანობის ანგარიში

2021 წლის 3 დეკემბრიდან 2022 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით დავესწარი გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 14 სხდომას და მონაწილეობა მივიღე 164 საკითხის განხილვაში.

ვარ ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს" თავმჯდომარის მოადგილე. დავესწარი ფრაქციის 7 სხდომა და მონაწილეობა მივიღე 113 საკითხის განხილვაში.

ასევე ვარ ქონების მართვის, ბუნებრივი რესურსების, აგრარულ და მიწის საკითხთა კომისიის წევრი დავესწარი 7 სხდომას და მონაწილეობა მივიღე 60 საკითხის განხილვაში. ასევე ვარ სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის წევრი, დავესწარი კომისიის 4 სხდომას და მონაწილეობა მივიღე 18 საკითხის განხილვაში.

მთელი წლის განმავლობაში სისტემატიურად ვხვდები როგორც საკრებულოში მოსულ მოქალაქეებს სხვადასვა საკითხებთან დაკავშირებით, ასევე ჩემს მაჟორიტარულ ოლქში, სადაც გამოიკვეთა მთელი რიგი პრობლემები, რომელიც სისტემატიურად მოგვარების პროცესშია:

- სოფელ ხიდისთავში გაკეთდა წყლის სისტემის სრული რეაბილიტაცია, ამოიცვალა მილი და დამონტაჟდა მრიცხველები.
- ხიდისთავში ,,სკოლის უბანში" მთლიანად მოასფალტდა გზა, ამოიცვალა სანიაღვრე არხი სრულად.
- ასევე ,,ოხერის" უბანში ცენტრალური და სასაფლაოზე მისასვლელი გზა სრულად მოასფალტდა. ,,ჭალის" უბანში კეთდება გზის გარკვეული მონაკვეთი.
- სოფელ ხიდისთავში ,,ჭალის უბანში" დაწყებულია და კეთდება ხელოვნურ საფარიანი ფეხბურთის მინი სტადიონი, აღნიშნულ სტადიონზე დამონტაჟდა კალათბურთის ფარები და კეთდება ტრენაჟორები.
- ამას გარდა ,,ჯავახიანთ უბნის" სასაფლაოზე კეთდება რკინა ბეტონის კედელი, ტენდერი უკვე დასრულდა და უახლოეს პერიოდში დაიწყება სამუშაო პროცესი.
- ,,ოხერის უბანში" ასფალტის ნაფხვენით მოწესრიგდა დაახლოებით 1200 მეტრის სიგრძის გზა.
- სამომავლოდ გეგმაში გვაქვს 2023 წელს ორივე სასაფლაოზე გაკეთდეს ბეტონის გზები.

აღნიშნული მოთხოვნების ნაწილი მოგვარებულ იქნა, ნაწილი აისახება მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტში.

ამასთან ერთად აქტიურად ვარ ჩართული მუნიციპალიტეტის როგორც საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიების, ასევე მერიის სამუშაო ჯგუფების საქმიანობაში. გარდა ამისა

აქტიურად ვმონაწილეობ საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ მუშაობაში.

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ივანე ნონიკაშვილის ამომრჩევლებთან შეხვედრის დამადასტურებელი

ოქმი

ქ. გორი 2022 წლის 31 ოქტომბერი.

სხდომას ესწრებოდნენ :

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე: ბექა ლობჟანიძე;

ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“- ფრაქციის თავმჯდომარე: კობა ბერიანიძე;

საკრებულოს წევრი: ივანე ნონიკაშვილი;

სხდომას ასევე ესწრებოდნენ: ხიდისთავის ადმინისტრაციული ერთეულის მოსახლეობა და საკრებულოს აპარატის სპეციალისტი გვანცა ხაბელაშვილი.

სხდომას თავმჯდომარეობდა: ბექა ლობჟანიძე.

დღის წესრიგი

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ივანე ნონიკაშვილის 2021 წლის 3 დეკემბრიდან 2022 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით გაწეული საქმიანობის ანგარიში

სხდომის თავმჯდომარემ დამსწრე პირებს წარუდგინა საკრებულოს წევრი ივანე ნონიკაშვილი და გააკეთა განმარტება, რომ საკრებულოს ყველა წევრი ვალდებულია წელიწადში ერთხელ მაინც, არაუგვიანეს 1 ნოემბრისა, ამომრჩეველს წარუდგინონ ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ, ანგარიშის განხილვისას უპასუხონ ამომრჩეველთა მიერ დასმულ შეკითხვებს.

სხდომის დღის სწესრიგის მიხედვით სხდომის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა საკრებულოს წევრს ივანე ნონიკაშვილს, რომელმაც დეტალურად ისაუბრა 2021 წლის 3 დეკემბრიდან 2022 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით განვლილ პერიოდიში მის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ. აღნიშნა ის გამოწვევები და სიკეთეები რაც თან ახლდა მოსახლეობის პრობლემების მოგვარებას. მოსხალეობის მხრიდან დაისვა შეკითხვები,

რომლებიც ძირითადად ეხებოდა ინფრასტუქტულულ პროექტებს და სოციალურ პრობლემებს. საკრებულოს წევრმა ივანე ნონიკაშვილმა აღნიშნა, რომ იგი აქტიურადაა ჩართული მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტის შედგენის და პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადებაში, სადაც ასევე იქნება მოსახლეობის ის პრობლემები ასახული რომელის გაკეთებაც ვერ მოხერხდა ამ წლის ბიუჯეტიდან.

აზრი გამოთქვეს: ავთანდილ ნატატაშვილმა, დარეჯან ტერმაკოზაშვილმა და დავით ოქრიაშვილი.

გადაწყვიტეს: პრობლემების გამოვლენის და აღმოფხვრის მიზნით გაიზარდოს მოსახლეობის ჩართულობა, რისთვისაც უფრო სისტემატიური ხასიათი მიიღოს საკრებულოს წევრების და ამომრჩევლების ურთიერთშეხვედრებმა და ურთიერთ თანამშრომლობამ.

სხდომის თავმჯდომარე: ბექა ლობჟანიძე.

საკრებულოს წევრი : ივანე ნონიკაშვილი;